<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2008, მუხ. 298) მე-11 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 მუხლი:

„მუხლი 11^1. უძრავ ნივთზე სახელმწიფოს შეზღუდული საკუთრების უფლების რეგისტრაცია

1. უძრავ ნივთზე, რომელზეც საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით არ დასტურდება სხვა პირის საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის უფლების არსებობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) მიმართვის საფუძველზე რეგისტრირდება სახელმწიფოს საკუთრების უფლება.
2. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად მოითხოვოს ნივთის განკარგვისა და სარგებლობაში გადაცემის აკრძალვა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება სახელმწიფოს წარმოეშობა რეგისტრაციიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლის შემდეგ აკრძალვა ძალაშია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე, აკრძალვის შეწყვეტის რეგისტრაციამდე.
4. აკრძალვის ძალაში ყოფნის პერიოდში ამ მუხლით დადგენილი წესით სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება შესაძლებელია დაინტერესებული პირის განცხადებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის გარეშე.“.

მუხლი 2.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ამ კანონის ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით განსაზღვროს უძრავ ნივთზე სახელმწიფოს შეზღუდული საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი და დამატებითი პირობები.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გ. მარგველაშვილი**